ქაღალდი

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	ინფორმაციული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	433
კითხვის დონე:	მე-13
ტექსტის მოკლე შინაარსი:	წიგნში მოთხრობილია, როგორ და სად გამოიგონეს ქაღალდი. საინტერესო ამბებს ვგებულობთ ტექსტიდან - რაზე წერდა ხალხი მანამ, სანამ ქაღალდს გამოიგონებდნენ, როგორ საიდუმლოდ ინახავდნენ ქაღალდის გამოგონების ამბავს, ასევე, საინტერესოა, როგორ შემოვიდა ევროპაში ქაღალდი...

გაკვეთილის მიზანი:

მოცემული ტექსტის („ქაღალდი“) გაგება-გააზრება;

სტრატეგია:

ტექსტის გაგების / აღქმის მხარდასაჭერად ვიზუალიზაციისა და მიზანზე ორიენტირებული კითხვის მეთოდების გამოყენება.

გაგება / გააზრება:

- ტექსტის გაგება ვიზუალიზაციის მეთოდის დახმარებით;
- მიზანზე ორიენტირებული კითხვის ტექნიკის სწავლება.

გრამატიკა (მორფოლოგია)

ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ურთერთმიმართების განსაზღვრა.

რესურსები:

1. წიგნი - „ქაღალდი“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის);
2. დაფა, ცარცი;
3. სამუშაო ფურცლები, ფერადი ფანქრები;

უცხო სიტყვები:

გამოგონება, საიდუმლო, ქერქი, წნეხი, შუამდინარეთი, მაკულატურა.

საგაკვეთილო აქტივობები

I. ტექსტის წაკითხვამდე:

1. სანამ ტექსტის წაკითხვას დაიწყებდეთ, ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა იციან ქაღალდის შესახებ; როგორ ფიქრობენ, რისგან მზადდება ქაღალდი? ადვილია თუ არა მისი დამზადება? მიეცით საშუალება, გააააქტიურონ ქაღალდის შესახებ საკუთარ გამოცდილებაზე დამყარებული ინფორმაცია და ეს ინფორმაცია გაუზიარონ მეგობრებს;

წიგნის მიზანზე ორიენტირებული კითხვის მეთოდის წარდგენა:

1. მიზანზე ორიენტირებული წიგნის კითხვის მეთოდის წარდგენა.

   ა. აუხსენით თქვენს მოსწავლეებს, რომ კითხვის ეს მეთოდი მათ გაუადვილებს საქმეს, გაიგონ და გაიაზრონ ტექსტი უფრო სწრაფად და უფრო მარტივად.

   ბ. აჩვენეთ, რას წარმოადგენს კითხვის მიზანზე ორიენტირებული მეთოდი:

   > ***ხმამაღლა ფიქრი:*** *მე ძალიან მაინტერესებს, სად დამზადდა პირველად ქაღალდი. ნეტავ, რომელ გვერდზე შეიძლება ამ ინფრომაციის გაგება? ჩემი კითხვაა: „სად დამზადდა პირველად ქაღალდი? ამ კითხვას რომ ვუპასუხო, მთელი ტექსტის გულდასმით წაკითხვა არ არის საჭირო. მე შემიძლია ქვესათაურებსაც გადავავლო თვალი და ვივარაუდო, სად ეწერება ის ინფორმაცია, რომელიც მე მინდა. ამას მიზანზე ორიენტირებული კითხვის მეთოდი ჰქვია. ჩემი მიზანია, ვუპასუხო კითხვას: „სად დამზადდა პირველად ქაღალდი?“*

აქტივობები კითხვის დროს:

1. დაწერეთ დაფაზე კითხვა: „რაზე წერდნენ უძველესი ადამიანები ქაღალდის გამოგონებამდე?“ აუხსენით მოსწავლეებს, რომ წინამდებარე ტექსტიდან შესაძლებელია პასუხი გაეცეს ამ კითხვას. უთხარით, რომ მათ შეუძლიათ სწრაფად გადახედონ ტექსტს და ქვესათაურების მიხედვით იმსჯელონ, სად შეიძლება ეწეროს მათთვის საინტერესო ინფორმაცია.

> ***ხმამაღლა ფიქრი:*** ტექსტში პირველივე ქვესათაურია „ქაღალდის გამოგონება“, ალბათ ამ ქვეთავში არ იქნება ინფორმაცია იმის შესახებ, რაზე წერდნენ უძველესი ადამიანები. ვფიქრობ, აქ უფრო ზოგადად ქაღალდის გამოგონების მნიშვნელობაზე იქნება მოთხრობილი. გვ. 5-ზე არის ასეთი ქვესათაური: „რაზე წერდნენ ქაღალდის გამოგონებამდე?“ მგონი ეს ის ქვეთავია, რომელიც მე მჭირდება! ვიწყებ ქვეთავის კითხვას. და აი ისიც! „უძველესი ადამიანები მიწაზე წერდნენ“... ჩემი მიზანი იყო, პასუხი მეპოვა კითხვაზე: „რაზე წერდნენ უძველესი ადამიანები ქაღალდის გამოგონობამდე?“ ტექსტში ვიპოვე ამ კითხვაზე პასუხი: უძველესი ადამიანები მიწაზე წერდნენ. მე არ მომიწია ტექსტის მთლიანად წაკითხვა. უბრალოდ, თვალი გადავავლე ქვესათაურებს და ვივარაუდე, რომელ ქვეთავში შეიძლება ყოფილიყო ჩემთვის სასურველი ინფორმაცია.

2.ზემოთ განხილული მაგალითის მსგავსად, გააკეთეთ „სამიზნე კითხვების“ სია და გარკვევით დაწერეთ დაფაზე. კითხვები წაიკითხეთ ხმამაღლა და დროდადრო კვლავ გაიმეორეთ. დავალება სასურველია ჯგუფებში შესრულდეს. ჯგუფებს გადაუნაწილეთ კითხვები მათი რაოდენობის მიხედვით. კითხვები ჯგუფებისათვის გაამზადეთ წინასწარ პატარა ფურცლებზე და დაურიგეთ ისინი მოსწავლეებს. სამუშაოს შესასრულებლად მიეცით 5 წუთი. სამუშაოს დასრულების შემდეგ იმსჯელეთ, დაეხმარათ თუ არა მათ კითხვის მიზანმიმართული მეთოდი.

კითხვები:

- როდის გამოიგონეს ქაღალდი?
- ვინ გამოიგონა ქაღალდი?
- როგორ მოახერხეს არაბებმა ქაღალდის შესახებ საიდუმლოს გაგება?
- ევროპის რომელ ქვეყანაში გააკეთეს ქაღალდი პირველად?
- ვინ გამოიგონა ქაღალდის დასამზადებელი სპეციალური მანქანა?
- რომელი ხის მასალას იყენებდნენ ძველი ჩინელები ქაღალდის დასამზადებლად?
- რაზე წერდნენ შუამდინარეთში ქაღალდის გამოგონებამდე?
- რა გამოიგონეს ეგვიპტეში საწერ მასალად ქაღალდის გამოგონებამდე?
- რა ჰქვია ქართულად პაპირუსს?
- რომელ ქვეყნებში ამზადებენ დღესდღეობით ყველაზე მეტ ქაღალდს?

ტექსტის გააზრება ვიზუალიზაციის მეთოდის გამოყენებით

- აუხსენით, რომ ამჯერად გამოიყენებთ ტექსტის გაგების ვიზუალიზაციის მეთოდს. აუხსენით, რომ კარგი მკითხველები გონებაში ხატავენ სურათებს იმის შესახებ, რასაც კითხულობენ. ამ მეთოდს ***ვიზუალიზაცია*** ჰქვია. უთხარით, რომ წაკითხულის ვიზუალიზაცია ეხმარება მკითხველს, უფრო კარგად გაიგოს წაკითხული ტექსტი.
- მიეცით მათ ვიზუალიზაციის მეთოდის გამოყენების მაგალითი:

ხმამაღლა ფიქრი: როდესაც წიგნის რამდენიმე გვერდს წავიკითხავ, ვჩერდები. იმიტომ ვჩერდები, რომ მინდა გონებაში წარმოვიდგინო ის, რაც წავიკითხე. ეს მეხმარება, უფრო კარგად გავიგო ტექსტი. მაგალითად, წიგნის მე-3 გვერდზე სწერია, რომ ევროპაში გამოიგონეს პირველი ქაღალდის სპეციალური მანქანა. ეს მანქანა გერმანელმა კაცმა გუტენბერგმა გამოიგონა. თვალებს ვხუჭავ და ვცდილობ გონებაში წარმოვიდგინო, როგორ გამოიყურებოდა პირველი ქაღალდის მანქანა. ის ალბათ დიდი იყო, შეიძლება მთელი ოთახის ზომისა... ალბათ რკინისგან დაამზადეს ეს მანქანა. მე შემიძლია, რაც გონებაში წარმოვიდგინე, ფურცელზეც დავხატო. მე ვხატავ ფურცელზე. საინტერესო მანქანა გამომივიდა... ნეტავ მართლა თუ ჰგავდა გუტენბერგის მანქანა ჩემს დახატულ მანქანას? კიდევ ერთხელ მივუბრუნდი ტექსტს მე-3 გვერდზე. აქ

წერია, რომ ამ მანქანის საშუალებით ქაღალდი ბევრად უფრო სწრაფად მზადდებოდა, ვიდრე მის გამოგონებამდე. მე სამუშაო პროცესიც შემიძლია წარმოვიდგინო გონებაში. მერე ჩემ მიერ დახატული უზარმაზარი მანქანის გვერდით რამდენიმე მოფუსფუსე კაცს ვხატავ. იმ კაცებს მღვდლებივით გრძელი კაბები ჩავაცვი. ასეთებად წარმოვიდგინე ისინი. ეს კაცები ქაღალდს ამზადებენ.

ინდივიდუალური სამუშაო

სამუშაოს შესარულებლად, ინსტრუქციის მიცემამდე, წაიკითხეთ ხმამაღლა მე-7 გვერდი. ამ გვერდზე პაპირუსის დამზადების შესახებაა მოთხრობილი. წაიკითხეთ დაკვირვებით. კითხვების შემთხვევაში შეჩერდით და უპასუხეთ მოსწავლეების კითხვებს. კითხვის დასრულების შემდეგ სთხოვეთ, წინასწარ გამზადებულ სამუშაო ფურცლებზე დახატონ პაპირუსის დამზადების პროცესი. მათ შეუძლიათ დახუჭონ თვალები და წარმოიდგინონ ძველი ეგვიპტელები, რომლებიც პაპირუსის ხეს ჭრიდნენ და წყალში ალბობდნენ. შემდეგ კი წყლიდან ამოათრევდნენ და დამბალი ხის ღეროს შუაგულს დანით ჭრიდნენ. ნედლ ქერქს კი მძიმე საგნებით ტკეპნიდნენ და მზეზე აშრობდნენ.

აუხსენით, რომ მათ შეუძლიათ დახატონ რამდენიმე სურათი, რადგან პაპირუსის დამზადება რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. თუმცა, აუხსენით რომ ყველაფრის დახატვა აუცილებელი არ არის. მთავარია, მათ გონებაში წარმოდგინონ პაპირუსის დამზადების სურათები.

სამუშაოს დაწყებამდე სთხოვეთ, კიდევ ერთხელ წაიკითხონ ტექსტი მე-7 გვერდზე. სამუშაოს შესასრულებლად მიეცით 10 წუთი.

სამუშაოს დასრულების შემდეგ ნახეთ თითოეული მოსწავლის ნამუშევარი, შეაფასეთ ისინი და შეაქეთ დავალების შესრულებისათვის!

მორფოლოგია

ზედსართავი და არსებითი სახელების ურთიერთმიმართება

ზედსართავი დაერთვის არსებით სახელს!

ზედსართავი სახელი ახასიათებს არსებით სახელს, თუ როგორია ის: თეთრი კაბა. როგორი კაბა? - თეთრი!

ზედსართავი სახელის კითხვები:

როგორი?

რომელი?

სადაური?

როდინდელი?

- სთხოვეთ მოსწავლეებს, წიგნი გადაშალონ მე-3 გვერდზე. წაუკითხეთ მათ წინადადება ხმამაღლა: „შემდეგ გერმანელმა იოჰან გუტენბერგმა სპეციალური მანქანა გამოიგონა.“
- წინადადება დაწერეთ დაფაზეც. შემოხაზეთ სიტყვები „სპეციალური მანქანა“. დაუსვით კითხვა ზედსართავ სახელს: როგორი მანქანა? - სპეციალური. უთხარით, რომ სიტყვა „სპეციალური“ არის ზედსართავი სახელი და ის ზედ ერთვის / თან ახლავს არსებით სახელს. „მანქანა“ არის არსებითი სახელი. ზედსართავი სახელი გვეხმარება გავიგოთ, როგორი არის არსებითი სახელი, ე.ი ზედსართავი სახელი ახასიათებს არსებით სახელს. ამ შემთხვევაში „ჩვენი არსებითი სახელი“ არის „მანქანა“. მანქანა ყოფილა „სპეციალური“. აუხსენით აგრეთვე სიტყვა „სპეციალურის“ მნიშვნელობა.

კითხვის შემდგომი აქტივობები:

- დააკვირდით კითხვის პროცესს, დარწმუნდით რომ ყველა მოსწავლემ ბოლომდე წაიკითხა ტექსტი. წაახალისეთ თითოეული მოსწავლე, რომ მალე წაიკითხოს ტექსტი.
- ტექსტის წაკითხვის შემდეგ მიეცით ჯგუფური სამუშაო. დაყავით კლასი რამდენიმე ჯგუფად. გააკეთეთ წიგნიდან მე-4, მე-5, მე-7 და მე-10 გვერდების ასლები წინასწარ და დაურიგეთ ისინი შესაბამის ჯგუფებს.
- აუხსენით, რომ ვუბრუნდებით ვიზუალიზაციის მეთოდს და სთხოვეთ, ყურადღებით წაიკითხონ მათთვის განკუთვნილი ტექსტი (შესაბამის გვერდზე წინასწარ მონიშნეთ ტექსტიდან სიუჟეტი). წაკითხვის შემდეგ, სთხოვეთ წარმოიდგინონ გონებაში წაკითხული სიუჟეტი, იმსჯელონ ჯგუფის წევრებთან, როგორ და რის დახატვა აჯობებს სამუშაო ფურცელზე და შეუდგნენ ხატვას.
- დახატვა შეუძლია დაიწყოს ჯგუფის ერთმა წევრმა და გააგრძელოს სხვამ. დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე ჩაერთო მსჯელობაში ან ხატვის პროცესში.
- სამუშაოს შესასრულებლად მიეცით 6-7 წუთი. სამუშაოს დასრულების შემდეგ, თითოეული ჯგუფის ნამუშევარი შესაბამის ტექსტთან ერთად გააკარით კლასის საინფორმაციო დაფაზე. შეაქეთ მოსწავლეები შესრულებული სამუშაოსთვის!

რეფლექსია გაგების უნართან დაკავშირებით

1. **დისკუსია:** ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა დაეხმარათ მათ ტექსტის გაგებაში/აღქმაში? მოეწონათ თუ არა ვიზუალიზაციის მეთოდის გამოყენება კითხვის პროცესში? რა იყო მათთვის ყველაზე რთული ტექსტის კითხვის დროს?

საშინაო დავალება:

დაავალეთ მოსწავლეებს, სახლში მშობლებთან, და-ძმასთან ან მეგობართან ერთად წაიკითხონ ტექსტი. ტექსტის წაკითხვის შემდეგ სთხოვეთ, მეწყვილესთან ერთად შეასრულონ დავალება: მოძებნონ ტექსტში ზედსართავი და არსებითი სახელების წყვილები და ამოწერონ სამუშაო ფურცელზე. გაიხსენონ საკლასო მუშაობის დროს ნასწავლი ზედსართავი სახელის კითხვები და დაუსვან შესაბამისი კითხვა ზედსართავისა და არსებითი სახელების შერჩეულ წყვილებს.

მოსწავლეთა მონიტორინგი, რა შეუძლიათ მათ...

- ტექსტზე მუშაობისას მიზნობრივი (წინასწარ განსაზღვრული კითხვის მიხედვით) ინფორმაციის მოპოვება;
- სამუშაო ფურცლებზე ვიზუალიზაციის მეთოდის წარმატებით გამოყენება;
- ჯგუფური სამუშაოს დროს მსჯელობა ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის შესახებ;
- ტექსტის წაკითხვის დროს ზედსართავი და არსებითი სახელების წყვილების იდენტიფიცირება.